დანართი

ბავშვის უფლებების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს VII დონე

2026

სარჩევი

I. შესავალი 2
II. სწავლის სფეროს აღწერა 4
III. სწავლის შედეგები 12
IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია 14
V. სწავლება, სწავლა და შეფასება 15
VI. დამატებითი ინფორმაცია 19
VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები 20
7.1. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები 20
7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის/დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრები 24

I. შესავალი

ბავშვის უფლებების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი აკადემიური განათლების სტანდარტია, რომელიც ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს და ამ შედეგების მიღწევისათვის საჭირო სწავლა-სწავლების, შეფასებების მიდგომებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

ბავშვის უფლებების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მისანიჭებელი კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, კურსდამთავრებულთა დასაქმებას, ბავშვის უფლებების სფეროში კვლევების განვითარებას.

ბავშვის უფლებების დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, და მათი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი გაზიარებული და დაცული უნდა იქნეს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ბავშვის უფლებების საგანმანათლებლო პროგრამები. ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოუკიდებლად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject Benchmark Statement of Child Rights.

ბავშვის უფლებების[1] უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

[1] ამ დოკუმენტის მიზნებისათვის „უფლებები“ განიმარტება, როგორც - ფუნდამენტური სოციალური, უფლებები, რომელთა რეალიზება უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხს, კარგად ყოფნასა და კეთილდღეობას.

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- პირთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შეისწავლონ ბავშვის უფლებების დარღვევის და რეალიზების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები ოჯახში, ბავშვზე ზრუნვის, დაცვისა და კეთილდღეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მართლმსაჯულების სფეროებში;
- პირთათვის, რომელთაც სურთ შეიძინონ და განავითარონ ბავშვობის გამოცდილების კრიტიკული ხედვა ისტორიულ და მიმდინარე მოვლენების ფონზე, გამოავლინონ და შეაფასონ ბავშვზე ზრუნვაზე, დაცვასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და/ან ქმედებები ადგილობრივ, რეგიონულ და/ან გლობალურ დონეზე და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად შეიძინონ შესაბამისი კომპეტენცია;
- ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით;
- დამსაქმებლებისთვის, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ ინფორმაცია ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესახებ;
- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ ბავშვის უფლებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

დარგობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების და შეფასების პროცედურების საფუძველზე.

ბავშვის უფლებების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი შემუშავდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, დეტალურ სფეროში „სოციალური კეთილდღეობა – არაკლასიფიცირებული" კოდი 0929, მე-2 სვეტში დეტალური სწავლის სფეროს „ბავშვის უფლებები Child Rights" დამატების მიზნით.

ბავშვის უფლებების დარგობრივი მახასიათებლის განახლების საფუძველია აღნიშნული დოკუმენტის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და სფეროს მარეგულირებელ ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ბავშვის უფლებების სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება ბავშვობის, როგორც გამოცდილების სოციალური კონსტრუქციის გააზრებას და იკვლევს რა ზეგავლენას ახდენს საზოგადოება ბავშვის უფლებების რეალიზებაზე, როგორ იცვლება საზოგადოება ბავშვის უფლებების აღიარებით და რეალიზებით. ის არ შემოიფარგლება ბავშვთა დაცვის სამართლებრივი და საზოგადოების ეთიკური ვალდებულებების მოცვით, რადგან ეს არ არის საკმარისი ბავშვის უფლებების რეალიზებისათვის ფორმალურ (როგორიცაა მაგ: სააღმზრდელო დაწესებულება, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადი განათლების მომსახურების მიწოდების და სხვა) თუ არაფორმალურ გარემოში (ოჯახი, თემი). სამართლებრივი თვალსაზრისით საკმაოდ მოწესრიგებულ გარემოში, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ფონზე ნათლად იკვეთება ბავშვის უფლებების აღსრულების შემაფერხებელი ფაქტორები ყველა სფეროში (საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტული და სხვა), ყველა დონეზე (ოჯახი, თემი, პოლიტიკა) და ბავშვების ყველა ასაკობრივ ჯგუფთან. სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ იქმნება ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ანალოგი საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში ამჟამად არ იძებნება.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას: სოციალური მუშაობის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, განათლების, სამართალის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკის მეცნიერებებისა და ეკონომიკის მიმართულებებიდან. იგი ორიენტირებულია ბავშვის უფლებების სფეროს ისეთი სპეციალისტის მომზადებაზე, რომელსაც ექნება ცოდნა და კომპეტენცია ბავშვის უფლებების საკითხებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, ბავშვთა უფლებების რეალიზების, არსებული გამოწვევების დაძლევის გზების შემუშავების ხელშეწყობისა და სათანადო პროგრამებისა და პოლიტიკის ფორმირების პროცესში მონაწილეობისთვის.

პროგრამის ყველა სავალდებულო კურსი უფლებრივ ჭრილშია წარმოდგენილი (ინდივიდუალური, სათემო, სოციალური, კულტურული, გარემოს დაცვითი, სამართლებრივი) და პირდაპირ ან ირიბად უფლებრივი მიდგომების დანერგვაზეა ორიენტირებული. სავალდებულო კურსები განვითარების თეორიებსა და მეთოდები/მოდელების, ფიზიკური, კოგნიტური, პიროვნული და სოციო-კულტურული განვითარების კანონზომიერებების მახასიათებლებს, ბავშვთა უფლებების კვლევებს სწორედ კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის რაკურსით განიხილავს, რაც ასე აკლია დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეს და დასაქმების ბაზარს, რადგან ქვეყანაში არ არიან ბავშვის უფლებების სპეციალისტები ამგვარი აგრეგირებული ცოდნის ბაზით. ამის გარეშე კი ბავშვებთან ან ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა არაეფექტიანია. ქვეყანაში საკმაოდ გამართულ სამართლებრივ ჩარჩოში წარმოდგენილ ეფექტიან სამართლებრივ მექანიზმებს აღსრულების პრობლემას სწორედ ეს დეფიციტი უქმნის. გასაძლიერებელია ბავშვის განვითარების ხელშემწყობი

რესურსი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, გარემოსადმი მეგობრული, უფლებების რეალიზებით ბავშვებთან და მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებში/გარემოში (იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური გარემო). ამ ფუნდამენტური უფლებების რეალიზებით კი ხელშეწყობილია ბავშვების ცხოვრების ხარისხის, კარგად ყოფნის[2] და კეთილდღეობის[3] უზრუნველყოფა.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იკვლევენ ბავშვის უფლებების რეალიზების ხელშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებს, მათზე რეაგირების მექანიზმებს ბავშვის, ოჯახის, მომსახურების, სისტემებისა და პოლიტიკის დონეზე, ისტორიულ და თანამედროვეობის ჭრილში, ინოვაციური მიდგომებითა და მეთოდებით. ბავშვის უფლებების სპეციალისტების საქმიანობა მიზნად ისახავს ბავშვთა კეთილდღეობის მხარდაჭერას ყველა დონეზე მათი უფლებების რეალიზების ხელშეწყობითა და საუკეთესო ინტერესების დაცვით.

ამ მიმართულების საერთაშორისო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც წესი, მოიცავს ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობით კვლევებს, საველე ვიზიტებს, შემოქმედებით და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას. სტუდენტები: იაზრებენ და სწავლობენ ბავშვის მოსმენას, მის ჩართვას ირგვლივ მიმდინარე მოვლენებში; ეცნობიან, ხელს უწყობენ, ნერგავენ ბავშვის უფლებების რეალიზებისაკენ მიმართული ზრუნვის, მომსახურებისა და პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესს.

„ბავშვის უფლებების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს მყარ თეორიულ საფუძველს ბავშვის უფლებებსა და, ზოგადად, ბავშვობის გამოცდილებაში და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; ხელს უწყობს გარემოს ცვლილებას და გარდაქმნას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

„ბავშვის უფლებების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ მტკიცებულებით ინფორმირებულ და კვლევებზე დაფუძნებულ პრაქტიკას საქართველოში, შეისწავლონ ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის სპეციფიკა ქვეყნის მასშტაბით, ჯერ კიდევ სწავლის პროცესში შექმნან საერთო ფასეულობებზე აღმოცენებული პროფესიული ერთობა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბავშვის განვითარების, გამოცდილების, უფლებების რეალიზებისა და საბოლოო ჯამში მათი კეთილდღეობის შესახებ ცოდნის ფორმირებას.

---

[2] ამ დოკუმენტის მიზნებისათვის „კარგად ყოფნა“ განიმარტება, როგორც - სუბიექტური კარგად ყოფნის განცდა ფიზიკურ, მატერიალურ, ფსიქოემოციურ, ინტერპერსონალური ურთიერთობების დონეზე. ის გულისხმობს კმაყოფილების სფეროების არსებობას ბავშვის ცხოვრებაში.

[3] ამ დოკუმენტის მიზნებისათვის „კეთილდღეობა“ განიმარტება, როგორც - განვითარების ხელშემწყობი რესურსი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, გარემოს დამზოგავი უფლებების უზრუნველყოფით; ადამიანის/საზოგადოების უნარი წვლილი შეიტანოს საკუთარ და გარემოს განვითარებაში, საკუთარი არსებობის მნიშვნელობის განცდით.

მსოფლიოს 13 ქვეყნის მაგალითზე ბავშვთა უფლებების 20 საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამების უმრავლესობა ტრანს, პლური და/ან ინტერდისციპლინური ხასიათისაა და კურსდამთავრებულებს ბავშვის უფლებების სფეროში მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს, რაც ასახავს ამ სფეროს სპეციფიკურობასა და კომპლექსურობას, ასევე მოცემული სფეროსადმი დაინტერესების ზრდას. უკანასკნელ წლებში, ლოკალური თუ გლობალური არეულობებისა და პრობლემების ფონზე, ბავშვთა უფლებების დაცვისა და რეალიზებისადმი ყურადღება გაიზარდა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ქვეყნებში პერიოდულ ანგარიშებსა და მათზე კომენტარებში, ბავშვების უფლებების დაცვის ნაწილში რჩება მოუგვარებელი საკითხები, კონკრეტული სამიზნე ჯგუფების მოწყვლადობის ხარისხი არ მცირდება. უფრო მეტიც, ჩნდება ახალი ჯგუფები, რომელთა პრობლემების მოგვარება სამართლებრივი მექანიზმის მიღმა ჩარევებსა და რეაგირებას საჭიროებს, რასაც ექსკლუზიური ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სადაც სოციო-ეკონომიკური პრობლემების გარდა, გეოგრაფიული და ეთნიკური, რელიგიური მრავალფეროვნებაა, ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია, რესურსების ხელმისაწვდომობა და მისადაგება უთანასწოროა ტიპური და ატიპური განვითარების მქონე ბავშვებისათვის, ოჯახების ცოდნა მწირია ბავშვის განვითარებისა და უფლებების მხრივ. ამგვარი პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზე მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2024 წლის ივნისის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს მიერ წარდგენილ მეხუთე და მეექვსე გაერთიანებულ ანგარიშებზე.

აღსანიშნავია მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოქმედი რამდენიმე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც თავისი სტრუქტურითა და თემატური ორიენტაციით მეტად საინტერესოა ქართული რეალობისათვის. საქართველოში მივიღეთ სიტუაცია, როდესაც ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მესამე ტალღა გამართული კანონმდებლობით დასრულდა, თუმცა, აღსრულებას უფლებების რეალიზებისთვის სჭირდება ქმედითი ბერკეტების ამოქმედება მომსახურების მიწოდების, სისტემურ და პოლიტიკის ფორმირების დონეზე. ამიტომ, ლოკალური კონტექსტისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საინტერესოა და რელევანტურია ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სცდება ერთი კონკრეტული დარგის ფარგლებს და მოიცავს ყველა სფეროს, რომელთა ურთიერთქმედება განსაზღვრავს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას. ამ ტიპის პროგრამებში ბავშვის უფლებების რეალიზების საკითხი განიხილება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში, გააზრებული და გათვალისწინებულია ბავშვის მონაწილეობის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები.

ამასთან, სასურველია სწავლა-სწავლების პროცესი განახორციელონ უნივერსიტეტებმა კვლევითი ლაბორატორიებით, რომლებშიც, ინტენსიური თანამშრომლობა მიმდინარეობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით. ეს კი საქართველოში საუნივერსიტეტო დონეზე ახლად ამოქმედებული ბავშვის უფლებების ცენტრების დაარსების იდეის ანალოგია. ასევე საშურია,

რომ ბავშვის უფლებების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უნივერსიტეტთა მხარდამჭერი კვლევითი ლაბორატორიები და ცენტრები, რომლებიც აერთიანებს უმაღლეს სასწავლებლებს და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მოდელებს ქმნიდეს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობას სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში, რაც მოითხოვს ექსკლუზიურ ტრანს, პლური- და ინტერდისციპლინურ ცოდნასა და უნარებს.

ევროპის, ამერიკისა და აფრიკის 22 პროგრამის[4] შესწავლის შედეგად, გამოვლინდა, რომ ბავშვის უფლებების სამაგისტრო პროგრამების უმრავლესობას აქვს ინტერ-, მულტი- და ტრანსდისციპლინური ხასიათი. ამ პროგრამებიდან მხოლოდ ერთ დისციპლინაში სავალდებულო ან არჩევითი კურსები არცერთ მათგანს აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებები დაკავშირებულია მრავალ სამართლებრივ საკითხთან (აღიარება, გარანტია, დაცვა, და ა.შ.), ამ უფლებებისადმი მიდგომის გააზრება საჭიროა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დაგროვებულ ცოდნაზე დაყრდნობით, ამ ცოდნის გამოყენებითა და ბავშვებში სოციალური ინვესტიციის მნიშვნელობის გააზრებითა და გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს რეალობისა და საჭიროებისათვის ბავშვის უფლებების სწავლა-სწავლებისათვის გამოიკვეთა 6 ანალოგი სამაგისტრო პროგრამა[5](3), რომელთა სტრუქტურა და შიგთავსი არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე სფეროს სწავლებით და ემსახურება სტუდენტებისათვის იმგვარი ცოდნის შეძენის შეთავაზებას, რომელიც მათ დაეხმარება ბავშვების წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევაში, გადალახვასა და სოციალური სამართლიანობის მიღწევაში; ასევე პროფესიული კომპეტენციების შეძენას ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ შესაბამის სფეროებში მუშაობისათვისაც (მაგ., სოციალური მუშაობა, სოციალური პედაგოგიკა, სამართალი, პოლიტიკა, მედია, ხელოვნება). ისინი ისტორიულ ჭრილში განიხილავენ ბავშვების და ბავშვობის ცვალებად სოციალურ სტატუსს, უთანასწორობის ახალ ფორმებს, ბავშვებთან დაკავშირებული მიდგომების, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ცვლილებებისა და პოლიტიკური იდეოლოგიების ზეგავლენას ამ ცვლილებებზე; ეხმარება სტუდენტებს გააანალიზონ საკუთარი წვლილი ბავშვთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობაში დინამიკური გლობალური ცვლილებების ფონზე.

---

[4] ანჟეს უნივერსიტეტი, ბელფასტის დედოფლის უნივერსიტეტი, კორკის საუნივერსიტეტო კოლეჯი, პოტსდამის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, მადრიდის ავტონომიური უნივერსიტეტი, გრანადას უნივერსიტეტი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი (ლიეჟის, ნამურის, ლუვენის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით), ლუვენის უნივერსიტეტი, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი, მაგდებურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ბაბეშ-ბიოიაის კლუჟ-ნაპოკას უნივერსიტეტი, ლონდონის სამეფო კოლეჯი, აფრიკის უნივერსიტეტი, მილანის ბიკოკას უნივერსიტეტი, სტოკჰოლმის უნივერსიტეტი, ჟენევის უნივერსიტეტი, Aix-Marseille უნივერსიტეტი, ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტი, ლეიდენის უნივერსიტეტი, პარიზის Paris-Pantheon-Assas უნივერსიტეტი.

[5] ანჟეს უნივერსიტეტი, ბელფასტის დედოფლის უნივერსიტეტი, პოტსდამის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი (ლიეჟის, ნამურის, ლუვენის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით), ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი, მაგდებურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ბაბეშ-ბიოიაის კლუჟ-ნაპოკას უნივერსიტეტი.

ეს პროგრამები ხასიათდება უპირატესად გამოყენებითი პროფილით, რაც მოიაზრებს თეორიული ცოდნის გარდა პრაქტიკული და გადაცემადი უნარების განვითარებას, რომლებსაც სტუდენტები გამოიმუშავებენ და შეიძენენ სხვადასხვა ხანგრძლივობის პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში. ყველა სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე უახლეს განვითარებებს პოლიტიკისა და პრაქტიკის სფეროში, რაც გულისხმობს პროგრამებში ადგილობრივი და გლობალური ელემენტების გაერთიანებას.

ისინი ხორციელდება სხვადასხვა პროფილის მქონე ფაკულტეტების/სკოლების/დეპარტამენტების მიერ (მაგ., განათლებისა და საზოგადოების სკოლა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა, განათლება და სოციალური სამუშაო, განათლებისა და სოციალური სერვისების დეპარტამენტი, სოციოლოგიისა და სოციალური სამუშაოს დეპარტამენტი, სოციალური კვლევების ინსტიტუტი, სამართლის ფაკულტეტი/სკოლა, ბავშვის უფლებათა კვლევების ცენტრი, და ა. შ.).

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად შესაძლებელია სხვადასხვა აკადემიური ხარისხების მიღება, რაც დამოკიდებულია პროგრამის პროფილზე/შინაარსზე (მაგ., ბავშვის უფლებების მაგისტრი/მეცნიერებათა მაგისტრი, იურისპრუდენციის მაგისტრი, ან სამართლის მაგისტრი (MA/MSc) ბავშვის უფლებებში, და ა. შ.). ჩვენ მიერ შერჩეული პროგრამების მულტი, ინტერ და პლურიდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მაგისტრი ბავშვის უფლებებში, მეცნიერების მაგისტრი ბავშვის უფლებებში, ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ბავშვის უფლებებში.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობა/მინიჭებული კრედიტები სხვადასხვაგვარია. არსებობს ორწლიანი, წელიწადნახევრიანი, ერთწლიანი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს 120/90/60 კრედიტს (ECTS).

ბავშვთა ცხოვრების უკეთ გასააზრებლად და მათი ცხოვრების სტანდარტის გასაუმჯობესებლად, პროგრამების შინაარსი ძირითადად ორი მიმართულებითაა დატვირთული:

- ბავშვის უფლებები - ბავშვის უფლებათა გაეროს კონვენციის და სხვა შესაბამისი საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი სტანდარტების მიხედვით, ბავშვებთან დაკავშირებული და მათზე ზეგავლენის მქონე კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი. ინოვაციური კურსები მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის მონაწილეობის, სამართლებრივი დაცვის, სოციალურ რესურსებზე წვდომის (მაგ., ჯანდაცვა, განათლება) საკითხების, ბავშვების წინაშე არსებული სხვადასხვა სოციალური პრობლემების (ბავშვთა სიღარიბე, მიგრაცია, შრომა, კონფლიქტები, ომები და სხვა), გამოწვევების (სოციალური მედიის გამოყენება, გლობალური დათბობა და სხვა) და მათი დაძლევისაკენ მიმართული ეფექტიანი პოლიტიკის, ასევე

სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების (პრევენციული, პროაქტიული, რეაგირებითი) გაცნობას, ბავშვთა საკითხებზე ორიენტირებული პროექტებისა და ცვლილების მართვას.

- ბავშვებთან დაკავშირებული კვლევები - ბავშვთა საკითხების და ცხოვრების კვლევის საუკეთესო მეთოდების შეფასება, განსაკუთრებული აქცენტით ისეთ მიდგომებზე, რომელიც კვლევის პროცესში ბავშვების აქტიურად ჩართვას ითვალისწინებს. კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად პროგრამების უმეტესობა ხორციელდება ბავშვის უფლებათა ცენტრებთან[6], შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბავშვის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან/სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კურსდამთავრებულები საქმდებიან ბავშვების უფლებადამცველებად, ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ფსიქო-სოციალური, განათლების, ჯანდაცვის, მართლმსაჯულების, კულტურისა და სპორტის და ა.შ. მაგალითად, შემდეგ პოზიციებზე:

- სოციალური დახმარების კონსულტანტებად ბავშვებისა და ოჯახების, ჯგუფების, თემებისა და ორგანიზაციებისათვის, ბავშვების პიროვნულ და სოციალურ სირთულეებზე რეაგირებისათვის;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებრივი მდგომარეობის შეფასების სპეციალისტებად;
- ინსტრუქტორ-განმანათლებლებად რესოციალიზაციის აქტივობებში;
- უფლებადამცველებად სოციალური დახმარების სამსახურში, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის მომსახურებებში;
- სოციალური რეინტეგრაციის და ბაღის/სკოლის მრჩევლებად;
- სკოლის მედიატორებად;
- ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენლად;
- კონსულტანტებად პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში;
- მკვლევრებად;
- და სხვა.

[6] აკადემიურ საფეხურზე ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის აქტუალურობაზე მეტყველებს ევროპის ბავშვის უფლებათა აკადემიური ქსელი:

- ევროპის ბავშვის უფლებათა აკადემიური ქსელი / CREAN – აერთიანებს ევროპის 30-ზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით ხელს უწყობენ საგანმანათლებლო, კვლევითი საქმიანობისა და ჩართულ მხარეებთან მუშაობის გაძლიერებას.
- აკადემიური ქსელი EnJeux - აერთიანებს 80-ზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მკვლევრებს, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით ხელს უწყობენ საგანმანათლებლო, კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ხელს უწყობს ამ სფეროს შესახებ არა მარტო თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარების შეძენას, რაც მნიშვნელოვანია პროფესიის დაუფლებისა და დასაქმების კუთხით. პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკის კომპონენტი, თუმცა, ცალკეული სასწავლო კურსებიც ითვალისწინებს პრაქტიკულ დავალებებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ბავშვის უფლებების სპეციალისტებზე დიდია მოთხოვნა სკოლებში, ფსიქოსოციალურ, სარეაბილიტაციო ჯანმრთელობის დაცვისა და მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებებში, სკოლის მედიატორებს შორის, სახალხო დამცველის ოფისში, ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიშების მომზადებაზე მომუშავე ორგანიზაციებში და ამ მიმართულების კვლევით და ანალიტიკურ ორგანიზაციებში (Think-tank-ებში), ბავშვზე ზრუნვის, ბავშვთა დაცვის, ბავშვთა კეთილდღეობის, საოჯახო კონსულტაციების განმახორციელებელ ორგანიზაციებში და სხვ.. შესაბამისად, პროგრამა ორიენტირებულია უფლებრივი მიდგომის დანერგვაზე, რადგან განვითარების თეორიებისა და მეთოდები/მოდელების, ფიზიკური, კოგნიტური, პიროვნული და სოციოკულტურული განვითარების კანონზომიერებების მახასიათებლების ცოდნის გარეშე შეუძლებელია კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშემწყობი ფაქტორების გააზრება. ამასთან, მნიშვნელოვანია, უფლებრივი საკითხების სწავლა-სწავლება არ შემოიფარგლოს სამართლებრივი სფეროთი. წინამდებარე პროგრამა უფლებების კონცეპტუალიზაციას შემდეგნაირად ახდენს: ფუნდამენტური სოციალური, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი უფლებები, რომელთა რეალიზება უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხს, კარგად ყოფნასა და კეთილდღეობას. ამასთან, ბავშვის უფლებების რეალიზების საკითხი შუქდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურსა და კულტურულ კონტექსტში. ის გააზრებული და გათვალისწინებულია ყველა დონეზე და გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე თავად ბავშვის მონაწილეობის ხელშემწყობი ფაქტორების გააზრებით.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება ბავშვობის, როგორც გამოცდილების სოციალური კონსტრუქციის გააზრებას. იკვლევს რა ზეგავლენას ახდენს საზოგადოება ბავშვის უფლებების რეალიზებაზე და ერთი მხრივ როგორ იცვლება ბავშვის უფლებების აღიარების ხარისხი საზოგადოების ზეგავლენით, მეორე მხრივ კი, როგორ იცვლება თავად საზოგადოება ბავშვის უფლებების გააზრებითა და რეალიზებით. ის არ შემოიფარგლება ბავშვთა დაცვის სამართლებრივი და საზოგადოების ეთიკური ვალდებულებებით. სტუდენტები შეისწავლიან ბავშვის უფლებების რეალიზების ხელშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებს, მათზე რეაგირების მექანიზმებს ბავშვის, ოჯახის, მომსახურების სისტემების, კანონმდებლობის პოლიტიკის დონეზე, ისტორიულ და თანამედროვეობის ჭრილში, ინოვაციური მიდგომებითა და მეთოდებით. პროგრამის მიზანია მოამზადოს კადრები, რომლებიც შეძლებენ ბავშვთა კეთილდღეობის მხარდაჭერას მათი უფლებების რეალიზებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვით ყველა დონეზე. ის გასცდება ბავშვთა დაცვის სფეროს და მიდგომებს. ეს კი კანონმდებლობით უკვე დადგენილი მოთხოვნების აღსრულებისთვის ქმედითი ბერკეტების ამოქმედებას ითხოვს საოჯახო

სისტემიდან დაწყებული პოლიტიკის ფორმირების სისტემამდე. განათლების, ჯანმრთელობის, ფსიქოსოციალური, აბილიტაცია, რეაბილიტაციის, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების სისტემების მოცვის გარეშე, შეუძლებელია ბავშვის უფლებების რეალიზება. ამიტომ საჭიროა იმგვარი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება, რომელიც სცდება სამართლებრივ ჩარჩოებს და მოიცავს ყველა სფეროს, რომელთა ქმედითობა განსაზღვრავს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვასა და რეალიზებას.

კურსდამთავრებულები, ბავშვის უფლებების მაგისტრები, ცოდნისა და გამოცდილების შედეგად, მოემსახურებიან ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის იდეას ყველა დონეზე: სახელმწიფო, ოჯახი, თემი. ამას კი ექსკლუზიური ტრანს, პლური- და ინტერდისციპლინური ცოდნა და უნარები სჭირდება. ისინი უნარიანნი იქნებიან ბავშვის სხვადასხვა საჭიროებისა და მათ ირგვლივ არსებული სოციალური პრობლემის საპასუხო ქმედებისთვის, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის ფოკუსი მოითხოვს კურსების სწავლებას სოციალური კეთილდღეობის ვიწრო სფეროდან. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული სწავლის სფერო კლასიფიცირდეს „0929 - სოციალური კეთილდღეობა“ - არაკლასიფიცირებული, რადგან კონკრეტული დეტალური სფერო (სოციალური მუშაობა, ISCED, 2635) არ არის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენილი ამ კუთხით კლასიფიკატორში.

პროგრამის სწავლის შედეგები მხოლოდ ერთ კონკრეტულ დარგს არ ეხება და მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ სფეროს, როგორიცაა სოციალური მუშაობა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, განათლება, სამართალი, ჯანდაცვა, ეკონომიკა, ჟურნალისტიკა, პოლიტიკის მეცნიერებები და სხვ. შესაბამისად, თავისი მიზნებიდან, სწავლის შედეგებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან ნებისმიერი სფეროს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები.

„ბავშვის უფლებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად მოიცავს ბავშვობის გამოცდილების, ბავშვის განვითარებისა და მისი უფლებების რეალიზების ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებს სხვადასხვა სისტემასა (იქნება ეს ოჯახი, განათლების, ჯანმრთელობის, ზრუნვის თუ მართლმსაჯულების სისტემა) და დონეზე (იქნება ეს ინდივიდუალური, სათემო, საორგანიზაციო თუ პოლიტიკის). შესაბამისად, ის ითხოვს ღრმა და სისტემური ცოდნის ფორმირებას სწავლის ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სოციალური მუშაობა, ფსიქოლოგია, სამართალი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ჟურნალისტიკა, პოლიტიკის მეცნიერებები, ეკონომიკა და ა. შ.

პროგრამის მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, შესაბამისად კვლევების წარმოება შეუძლიათ ბავშვთა კეთილდღეობის, ზრუნვისა და დაცვის ნებისმიერ სფეროში. ბოლო დეკადებია, გაიზარდა ინტერესი ბავშვთა კეთილდღეობის, კარგად ყოფნის, ზრუნვისა და დაცვის თემატიკისადმი, იკვეთება კვლევის არეალის გაფართოებისა და სფეროში ახალი მიდგომებისა და

აღმოჩენების საჭიროება, ეს კი კურსდამთავრებულებს მომდევნო საფეხურზე ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობასაც აძლევს. სწორედ ამიტომ, მართებულად მიგვაჩნია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში შევიდეს ცვლილება და დეტალურ სფეროში „სოციალური კეთილდღეობა – არაკლასიფიცირებული" კოდი 0929, მე-2 სვეტში დაემატოს დეტალური სწავლის სფერო „ბავშვის უფლებები Child Rights"

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცემული კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები:

ა) ბავშვის უფლებების მაგისტრი Master of Child Rights
ან
ბ) მეცნიერების მაგისტრი ბავშვის უფლებებში Master of Science (MSc) in Child Rights
ან
გ) ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ბავშვის უფლებებში Master of Arts (MA) in Child Rights.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მოცემულ სფეროში იმ ცოდნის, უნარების და ღირებულებების შეძენა/განვითარებაზეა მიმართული, რომელიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრულია მინიმალური სავალდებულო სწავლის შედეგები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, საკუთარი ხედვის, საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით, დამატებით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

ბავშვის უფლებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- სიღრმისეულად აყალიბებს ბავშვობის გამოცდილებას ისტორიული, თანამედროვე და კულტურათაშორისი პერსპექტივით;
- დეტალურად განმარტავს გარემო ფაქტორების ზეგავლენას ბავშვების კარგად ყოფნაზე (well-being);
- ასახელებს და დეტალურად განმარტავს ადრეული და ეფექტიანი ჩარევის მნიშვნელობას, ბავშვზე ზრუნვის მოვალეობის განხორციელების ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებს როგორც ოჯახის, ისე თემის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებისა თუ სკოლის, ფსიქოსოციალური, სარეაბილიტაციო და ჯანმრთელობის დაცვის სისტემებისა და მომსახურებების დონეზე;
- სისტემურად აღწერს საჯარო და ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკის ზეგავლენას ბავშვთა კეთილდღეობის ასპექტებზე.

უნარები

- კრიტიკულად აანალიზებს ბავშვის უფლებების სფეროში უახლეს მიღწევებს, გამოწვევებს, სამეცნიერო მასალას და ახორციელებს ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შემფასებელ ინოვაციურ კვლევებს ეთიკის ნორმებზე დაყრდნობითა და პიროვნული მრავალფეროვნებების გათვალისწინებით, როგორც მონოდისციპლინურ, ასევე ტრანს-, პლური- და ინტერდისციპლინურ ფორმატში.
- ახდენს ბავშვის უფლებების შესახებ ცოდნის ინტეგრირებას მომსახურებების სფეროში, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ასპარეზზე, ბავშვის უფლებების რეალიზების გამოწვევების საპასუხოდ სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური, მედია და სხვა პერსპექტივის გათვალისწინებით;
- ბავშვის სამართლებრივი, სოციო-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სულიერი, კონტექსტის კრიტიკულად გააზრების, ბავშვის უფლებების რეალიზების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ახორციელებს საჭირო ცვლილებებს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში და ეწევა შესაბამისი პოლიტიკისა და პრაქტიკის ადვოკატობას, უფლებადაცვითი საქმიანობის მონიტორინგს;
- მყარი თეორიული საფუძვლით სასწავლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტში განვითარებული უნარების გამოყენებით, მონაწილეობს პროფესიულ და სამეცნიერო დებატებში;
- დამოუკიდებლად იკვლევს (ბავშვის მონაწილეობის პრიორიტეტის მინიჭებით, მისი საუკეთესო ინტერესებისა და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით),

კრიტიკულად აანალიზებს და განსაზღვრავს ბავშვზე ზრუნვის, ბავშვის კეთილდღეობისა და დაცვის კონკრეტულ საკითხებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პროფესიული ეთიკის კოდექსების, ბავშვთან მუშაობის ეთიკური სტანდარტებისა და მონაცემთა დაცვის წესების გათვალისწინებით, მართავს პრაქტიკულ და კვლევით პროცესებს, განსაკუთრებით ბავშვების მონაწილეობის პირობებში;
- დამოუკიდებლად წარადგენს და მსჯელობს განხორციელებული სამეცნიერო და კვლევითი მიღწევების შესახებ პროფესიული ეთიკის სტანდარტებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, ბავშვის უფლებების სწავლის სფეროში შესაძლებელია მოცემულ თავში აღნიშნული კვალიფიკაციების მინიჭება.

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

დეტალური სწავლის სფეროს მითითებით მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება იმგვარ პროგრამებში, სადაც აქცენტი პრაქტიკაზე და პროფესიაში პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე კეთდება და კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს:

ბავშვის უფლებების მაგისტრი / Master of Child Rights

თუ პროგრამა უპირატესად თეორიას, სოციალურ ადვოკატობასა და თვისებრივ ანალიზზეა ორიენტირებული პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება შემდეგი კვალიფიკაცია:

ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ბავშვის უფლებებში / Master of Arts in Child Rights

ხოლო, თუ ბავშვის უფლებების სწავლის სფეროს შესაბამისი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია კეთილდღეობისა და სოციალურ მეცნიერებებზე (ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა, ეკონომიკა და სხვ.), სამართლის სფეროების თეორიულ შესწავლაზე, ამავე დროს

პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებს გამოუმუშავოს სამეცნიერო, კვლევითი უნარები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს:

მეცნიერების მაგისტრი ბავშვის უფლებებში / Master of Science in Child Rights

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია შერჩეული იყოს სწავლების და სწავლის შედეგების შეფასების ადეკვატური მეთოდები, რომლებიც ძირითადად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზეა დაფუძნებული. იგი უზრუნველყოფს სპეციფიკური მასალის ათვისებას და როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა სტუდენტებს თეორიული მასალის პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას აძლევს.

სტუდენტებს შეეძლებათ ახალი ინფორმაციის მოძიება, ანალიტიკური გადამუშავება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრება, შეფასება და ცოდნის გაღრმავება მონოდისციპლინური მიდგომის მიღმა. სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლების შესაბამისი საფეხურის მოთხოვნები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს პრობლემაზე და კვლევაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდების გამოყენებაზე, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად განივითაროს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარები. პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს პრობლემათა და შემთხვევათა ინტერ-, პლური- და ტრანსდისციპლინურ და მულტისექტორულ გააზრებაზე, ზეპირი თუ წერითი დავალებების, როლური თამაშების თუ სიმულაციების ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის და სხვ. ფორმატის გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებისას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ლექტორსა და სტუდენტს შორის ორმხრივ კომუნიკაციას, რაც ლექტორის მხრიდან უკუკავშირის ვალდებულებას გულისხმობს და მომავალში სტუდენტს აძლევს იმის საშუალებას, რომ თავად განსაზღვროს საკუთარი ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სტუდენტის შეფასება კი ადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონეს, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სასწავლო გეგმით, სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის ერთობლიობით.

სტუდენტების შესაფასებლად გამოიყენება მრავალკომპონენტიანი შეფასება, რომელსაც გაზომვადი კრიტერიუმები განსაზღვრავს. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას და გამჭვირვალობას.

ქვემოთ ჩამოთვლილია სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, რომლებიც ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა, უსდ-სთვის ისინი სარეკომენდაციო (არასავალდებულო) ხასიათისაა. ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ან/და სხვა მეთოდები, კურსის სპეციფიკიდან და პედაგოგის მიდგომიდან გამომდინარე.

სწავლა-სწავლების და სტუდენტთა შეფასების მეთოდების შერჩევისას მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნეს წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაში უნდა იყოს სწავლის საფეხურთან, კონკრეტული საგანმანათლებლო კომპონენტის მიზნებთან და შინაარსთან.

სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით/სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა კი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას და თეორიული ცოდნის გადაცემას, არამედ დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებასაც.

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობები ურთიერთშემავსებელია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი მნიშვნელოვანია იყენებდეს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, ჩამოთვლილთაგან შერჩეულ ან/და ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების მეთოდები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ლექციას;
- სემინარს;
- მასალაზე მუშაობას;
- მომზადებული მასალის ვიზუალიზაციას;
- წერით დავალებებს;
- როლურ თამაშებს და სიმულაციებს;
- შემთხვევის ანალიზს;
- სტატიის კრიტიკული ანალიზს;
- ჯგუფურ მუშაობას;
- დისკუსია/დებატებს;
- პრობლემათა პლური-, ტრანს-, ინტერდისციპლინურ და მულტისექტორულ ჭრილში გაშუქებას;
- პრობლემაზე დაფუძნებული კვლევის წარმოებას;
- თეორიული მასალის პრაქტიკაში დანერგვას;

- და სხვ.

სტუდენტის შეფასება, მათი კომპონენტები და მეთოდები

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, სტუდენტის შეფასება უნდა მოხდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (დამოუკიდებელი, შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის/უნარის/კომპეტენციის შეფასების ხარისხს:

- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- და სხვა.

ასევე შესაძლებელია შეფასების კომპონენტებში გაერთიანდეს შეფასების ერთგვაროვანი მეთოდები, როგორიცაა:

- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;
- ესე;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- მოხსენება;
- რეფერატი (წერითი ნაშრომი);
- კითხვა-პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური დავალების შესრულება;

- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- როლური თამაში;
- სიმულაცია;
- აქტიურობა პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას;
- შესრულებული პრაქტიკული სამუშაოების დემონსტრირება;
- და სხვა.

შეფასების კრიტერიუმები საზომი ერთეულებითაა განსაზღვრული, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას როგორც პროგრამაში არსებული პრაქტიკის დამოუკიდებელი კომპონენტით, ისე სხვადასხვა სასწავლო კურსში პრაქტიკის ელემენტების ინტეგრაციით. პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტულ მოდელს, მის შინაარსსა და ფორმას განსაზღვრავს უსდ, მისი რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, სხვადასხვა ხედვის და კონცეფციის საფუძველზე.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტს. პრაქტიკული კომპონენტის შესაძლო მოდელებია:

- თეორიულ კურსში ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტი;
- დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსები;
- აქტიური პრაქტიკა სხვადასხვა დაწესებულებებში (ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, საჯარო და კერძო დაწესებულებები და სხვა);
- და სხვ.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, ძირითადად, თეორიულ კურსში ინტეგრირებულ პრაქტიკულ ელემენტს ეხება. ეს არ გამორიცხავს სხვა მოდელების გამოყენებას. ამგვარად, პროგრამის თეორიულ კურსში ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტი ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც სასწავლო კურსი ეხება. ამ ფორმით სტუდენტი პროგრამაზე სწავლების დაწყებისთანავე ერთვება პრაქტიკულ აქტივობაში და ეს პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე გადასვლის საფუძველს წარმოადგენს. პროგრამაში ინტეგრირებული უნდა იყოს აქტიური პრაქტიკის კომპონენტიც, რომელიც არანაკლებ 60 საკონტაქტო საათს მოიცავს.

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ ასევე უნდა უზრუნველყოს სტუდენტებში სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება. ამ მიზნით პროგრამაში შემოტანილი უნდა იქნეს კვლევითი უნარების განმავითარებელი კურსები. უნდა ისწავლებოდეს კვლევის

რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, ბავშვებთან და მოზარდებთან მონაწილეობითი კვლევის მეთოდები და სხვ.

კვლევითი შესაბამისი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით უნდა მოხდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უნდა იყოს საჯარო და ნებისმიერ დამსწრეს უნდა შეეძლოს დისკუსიაში ჩართვა.

VI. დამატებითი ინფორმაცია

ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ამ და მომიჯნავე დარგების კვალიფიციური პერსონალი. პროგრამების განმახორციელებლები შეიძლება იყვნენ უსდ-ის აკადემიური პერსონალი და ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი. მათ უნდა უზრუნველყონ პროგრამების მდგრადი, სტაბილური, ეფექტიანი ფუნქციონირების და შედეგებზე ორიენტირებული ცოდნის გადაცემა სფეროს მარეგულირებელ საერთაშორისო და ეროვნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

მაგალითად:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენცია / United Nations Convention on the Rights of the Child (UNCRC) და დამატებითი ოქმები;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი;
- ბავშვთა დაცვის მინიმალური სტანდარტი / The Child Protection Minimum Standards (2019);[7]
- კვლევის ეთიკა ბავშვთა ჩართულობისთვის / Ethical Research Involving Children 2013; [8]
- გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნები / United Nations Sustainable Development Goals (UNSDGs);
- და სხვა.

[7] Adopted by Alliance for Child Protection in Humanitarian Action, https://shorturl.at/CQLic

[8] Adopted by more than 400 researchers across the lobal North and South, supported by UNICE's Office of Research, Innocenti, the Childwatch International Research Network and the University of Otago https://childethics.com/

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	**ნინო ქიმერიძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, უმაღლესი განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე
2	**სოფიო მორალიშვილი**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს მდივანი
3	**ნინო შატბერაშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა დოქტორი სოციალურ მუშაობაში, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი
4	**ირინე დარჩია**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,

			ასოცირებული პროფესორი, უმაღლესი განათლების ექსპერტი - საბჭოს წევრი
5	**ნატა ყაზახაშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი
6	**ლელა თურმანიძე**	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი - საბჭოს წევრი
7	**ლევან ალაფიშვილი**	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი
8	**არჩილ ლორია**	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	სამართლის დოქტორი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი
9	**შორენა ძამუკაშვილი**	სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებების დოქტორი, სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი
10	**ნინო კიკნაძე**	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი

11	**მაია ხერხეულიძე**	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის N1 დეპარტამენტის პროფესორი - საბჭოს წევრი
12	**ლევან დარბაიძე**	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	სამართლის დოქტორი, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი - საბჭოს წევრი
13	**შორენა სამაგლიშვილი**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მომსახურებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი - საბჭოს წევრი
14	**თამარ გურჩიანი**	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი
15	**ეკატერინე ლეჟავა**	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი
16	**სალომე ქაჯაია**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსი - საბჭოს წევრი
17	**ანა ურმიშვილი**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

			სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი
18	**გიორგი ჩიფჩიური**	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი
19	**ნინო ჩოჩია**	საქართველოს პარლამენტი	საქართველოს პარლამენტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი - საბჭოს წევრი
20	**ირინე ჩიხლაძე**	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე - საბჭოს წევრი
21	**ქეთევან სოხაძე**	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი
22	**ნინო მიხანაშვილი**	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ახალგაზრდულ საკითხთა კვლევისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი
23	**სალომე ნამიჭეიშვილი**	საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია	სოციალური მუშაობის დოქტორი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელი, გამგეობის წევრი - საბჭოს წევრი
24	**ნათია ჯოხაძე**	გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის განათლების სექციის უფროსი - საბჭოს წევრი

25	**თეონა კუჭავა**	გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის ბავშვთა დაცვის სექციის უფროსი - საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი
26	**ანნა გაზაშვილი**	"საქართველოს ბავშვები"	ორგანიზაცია "საქართველოს ბავშვები" დირექტორი, ბავშვთა ფსიქოლოგი სასამართლო ფსიქოლოგიაში - საბჭოს წევრი
27	**მარიამ წირღვავა**	"საქართველოს ბავშვები"	ორგანიზაცია "საქართველოს ბავშვები" კლინიკური სუპერვიზორი - საბჭოს წევრი
28	**ნინო ჭითანავა**	World Vision Georgia	World Vision Georgia-ს მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების და სწავლების მენეჯერი - საბჭოს წევრი

7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის/დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	**ნინო შატბერაშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი. სოციალური მუშაობის დოქტორი. სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, გაეროს ბავშვთა ფონდსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მიმდინარე პროექტის „ბავშვთა უფლებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება“ ხელმძღვანელი.
2	**ნინო ქიმერიძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,	ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ცენტრალური ხარისხის

		თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი გაეროს ბავშვთა ფონდსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მიმდინარე პროექტის „ბავშვთა უფლებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება“ კონსულტანტი.	უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
3	**მარეხ დევიძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი გაეროს ბავშვთა ფონდსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მიმდინარე პროექტის „ბავშვთა უფლებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება“ კონსულტანტი.	კონფლიქტოლოგიის დოქტორი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.
4	**სალომე დუნდუა**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, დეკანი.
5	**ლელა თურმანიძე**	სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი	პროფესორი, მათემატიკის დოქტორი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი დეკანი.
6	**ნინო მოდებაძე**	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწიფო უნივერსიტეტი,	პროფესორი, განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

		განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	
7	**ირინე დარჩია**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. გაეროს ბავშვთა ფონდსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მიმდინარე პროექტის „ბავშვთა უფლებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება“ კონსულტანტი.	ასოცირებული პროფესორი, განათლების დოქტორი.
8	**ანა რურკა**	პარიზ ნანტერეს უნივერსიტეტი, განათლების ფაკულტეტი. გაეროს ბავშვთა ფონდის პროექტის „ბავშვთა უფლებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება“ კონსულტანტი	პროფესორი, სოციალური მუშაობის დოქტორი. პროფესორი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
9	**ჟილ სერაპინი**	პარიზ ნანტერეს უნივერსიტეტი, განათლების ფაკულტეტი. გაეროს ბავშვთა ფონდის პროექტის „ბავშვთა უფლებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება“ კონსულტანტი	პროფესორი, დოქტორი.
10	**სალომე ნამიჭეიშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის დოქტორი.

11	**ირინე ქურდაძე**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი	პროფესორი, სამართლის დოქტორი .
12	**მანანა მელიქიშვილი**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.
13	**ნატო ფიცხელაური**	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი
14	**მარინე გურგენიძე**	სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, სოციალური პედაგოგიკის დოქტორი
15	**ლევან ჯაყელი**	სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერების ფაკულტეტი	პროფესორი, სამართლის დოქტორი.
16	**ნათია წიკლაშვილი**	სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
17	**ნატო შეროზია**	სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.
18	**ლელა თავდგირიძე**	სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის	პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი.

19	**ნანი მუმლაძე**	სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, განათლების დოქტორი
20	**შორენა ძამუკაშვილი**	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი
21	**სოფიო არსენიშვილი**	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
22	**სალომე თათულიშვილი**	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწიფო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი, განათლების დოქტორი